ხელშეკრულება №95
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 03 მაისი 2022 წელი

ერთი მხრივ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (რეკვიზიტები: მისამართი: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3, საიდენტიფიკაციო კოდი:219636259, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

და მეორე მხრივ შპს „კომლენდი“,(შემდგომში - მომწოდებელი), წარმოდგენილი ავთანდილ ჭელიძის სახით (რეკვიზიტები მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის 97; საიდენტიფიკაციო კოდი: 212858852, ტელეფონის ნომერი 597722999, მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი GE31TB0358336020167073)

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3^1 პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს “შემსყიდველმა ორგანიზაციამ” „მიმწოდებლს“, „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. შესყიდვის ობიექტია ორი ერთეული მიკროფონის მოწოდება (შემდგომში „საქონელი“).
2. CPV კლასიფიკატორის 32341000

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 50,00 (ორმოცდაათი) ლარს.
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
2. ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი და საგარანტიო პირობები

1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელისმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩერქეზიშვილი.
3. შესყიდვის ობიექტზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელი.

4. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ საგარანტიო ვადაში, შესყიდვის ობიექტის მიერ დეფექტის/ხარვეზის/წუნის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველის შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტი/ხარვეზი/წუნი - შეაკეთოს ან შეცვალოს დეფექტის/ხარვეზის/წუნის მქონე საქონელი ახლით. გამოვლენილი წუნდებული საქონელის შეკეთება ან/და ახლით შეცვლა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3

2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2022 წლის 05 მაისის ჩათვლით.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. მიმწოდებელი უფლებამოსიალია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.

3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის ოდენობით.

2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წიინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეა

1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე

მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთნხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქათველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 03 მაისიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია

მიმწოდებელი
შპს „კომლენდი“